დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ

თავი I

ზოგადი ნაწილი

მუხლი 1

წინამდებარე დებულება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში `უნივერსიტეტი~) წესდების საფუძველზე აყალიბებს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესს.

მუხლი 2

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს დოქტორს ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიმე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის დოქტორანტს.

3. კონკურსი ცხადდება შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად: სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის.

4. აკადემიური თანამდებობის ვადა განისაზღვრება, როგორც წესი 5 წლამდე. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ მიმართულებებზე ან აკადემიურ თანამდებობებზე გამოაცხადოს კონკურსი სხვადასხვა ვადით, მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლში მითითებული ვადისა.

მუხლი 3.

1. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს: ავტობიოგრაფია, პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი და 2(ორი) ფოტოსურათი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ასისტენტ პროფესორობის კანდიდატმა _ რეკომენდაცია შესაბამის სამეცნიერო მიმართულებაში მოღვაწე ორი მეცნიერისაგან.

2. კანდიდატს აგრეთვე მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

სრული პროფესორის _ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა.

ასოცირებული პროფესორის _ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა.

ორივე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია: დარგის სწავლების კონცეფცია სწავლების სამივე საფეხურზე. ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს მისი კვლევის უნარს და მინიმუმ ორი სილაბუსი (სილაბუსში მითითებული უნდა იყოს: საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, კრედიტის მინიჭების პირობა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით; ბოლო 4 წლის განმავლობაში:

_ დარგთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები;

_ აკადემიური საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო ადმინისტრაციული დატვირთვა (რომელიც არ ნაზღაურდება სახელფასო სარგოთი ან ერთჯერადი ჰონორარით);

_ აკადემიური საბჭოს, ეროვნული და საერთაშორისო აკადემიების წევრობა;

_ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა, რეცენზირება;

_ სამეცნიერო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა და სერთიფიკატების ფლობა (პროფესიულ საქმიანობაში);

_ ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა, წიგნის/კრებულის რედაქტორობა (რეცენზენტობა);

_ სამეცნიერო გრანტების, პროგრამების ავტორობა, მასში მონაწილეობა;

_ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

_ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა.

ბ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:

რეკომენდაცია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების 2 სრული/ასოცირებული პროფესორისაგან და ბოლო 4 წლის მანძილზე პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 4.

1. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღების დაწყებამდე არა უგვიანეს 1 (ერთი) და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 (ორი) თვისა.

2. კონკურსის გამოცხადება:

ა) შესაბამისი სკოლის დეკანი, სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით, წერილობით მიმართავს აკადემიურ საბჭოს კონკურსის გამოცხადების თაობაზე;

ბ) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საკონკურსო ადგილებსა და მისი ჩატარების თარიღს ამტკიცებს რექტორი და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები Qქვეყნდება პრესაში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკვრება უნივერსიტეტის განცხადებების დაფაზე. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, კონკურსის ჩატარების დღე, კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციისა და საორგანიზაციო საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის საქმის წარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის საკადრო განყოფილება-შემდგომში ,,განყოფილება“

2. კანდიდატთა განცხადებებს იღებს და რეგისტრაციაში ატარებს `განყოფილება~ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 17 საათამდე.

3. საკონკურსო განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს **დადგენილი ფორმით**, რომლის გაცნობა და შევსების შესახებ კონსულტაციის მიღება იწარმოებს ”განყოფილებაში”. საკონკურსო განცხადების ფორმას ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

4. საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობის (სისწორის) დადგენა.

5. დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კანდიდატის მიმართ წაყენებულ პირობებს უნდა იქნეს წარმოდგენილი დედნისა და მისი ასლის სახით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება მხედველობაში მიღებული საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის მონაცემების შეფასებისას.

6. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი ბოლო 4 (ოთხი) წლის განმავლობაში, მოითხოვს შესაბამის პუბლიკაციათა დედნების წარმოდგენას. მისი ყველა გვერდი მოწმდება სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით.

7. ”განყოფილების” მიერ განცხადების მიღების შემთხვევაში კონკურსანტზე გაიცემა ცნობა რეგისტრაციის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია სკოლისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება მიმართულების მითითებით. კონკურსანტის სახელი, გვარი და წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე რეგისტრაციის თარიღი და რიგითი ნომერი. ამასთან, კონკურსანტს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, ასლები კი რჩება განყოფილებაში.

8. ”განყოფილება” ყველა კონკურსანტს ართმევს ხელწერილს, სადაც აღინიშნება, რომ იგი გაეცნო აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესს (ამ დებულებას) და პირობებს. ასევე ასარჩევი კანდიდატების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და აღიარებს მათ.

9. განცხადების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში სამსახური ამოწმებს მის შესაბამისობას წინამდებარე დებულებისა და კონკურსის ჩატარების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში წარმოდგენილი პირობების მოთხოვნებთან. ხარვეზის არ არსებობის შემთხვევაში კონკურსანტი ითვლება რეგისტრირებულად განცხადების შემოტანის დღიდან.

10. მიმართულებისა და საკონკურსო ადგილის მითითებით რეგისტრირებულ კონკურსანტთა სია ქვეყნდება I სასწავლო კორპუსის საინფორმაციო დაფაზე პირველ სართულზე.

11. წარმოდგენილ დოკუმენტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსანტს უნდა ეცნობოს რეგისტრაციის მოსალოდნელი გაუქმების შესახებ წერილობით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩენილი ხარვეზი ითვლება ბათილად.

12. კანდიდატი უფლებამოსილია წარმოდგენილ დოკუმენტებში აღმოჩენილი ხარვეზი გამოასწოროს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონკურსანტის რეგისტრაცია უქმდება ავტომატურად.

13. წარმოდგენილ დოკუმენტებში სიყალბის აღმოჩენისას კონკურსანტის რეგისტრაცია უქმდება უპირობოდ, რაზეც დგება შესაბამისი ოქმი და ეცნობება კონკურსანტს.

14. ”განყოფილების” გადაწყვეტილებები (მათ შორის კონკურსანტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ) შეიძლება გასაჩივრდეს კონკურსანტის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში.

II თავი

ძირითადი ნაწილი

მუხლი 6.

1. აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით თითოეულ ფაკულტეტზე ქმნის დარგობრივ საკონკურსო კომისიებს (შემდგომში კომისია). კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სულ მცირე 2 წევრით, მათ შორის ერთია თავმჯდომარე.

2. რექტორი უფლებამოსილია, სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან ან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან მოიწვიოს კომისიის წევრობის კანდიდატები.

3. კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი.

4. კონკურსში მონაწილე არ ერთვება საკონკურსო კომისიაში არც წევრის, არც ექსპერტის სტატუსით.

მუხლი 7.

1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

2. Kკომისიის წევრთა შორის კანდიდატის თაობაზე აზრის გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიების მუშაობის რეჟიმი და საქმის წარმოება განისაზღვრება უნივერსიტეტის კოლეგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დარგობრივი კომისიის მუშაობის რეგლამენტით (შემდგომში რეგლამენტი).

4. კომისიების მუშაობის შედეგებს განიხილავს სკოლის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

5. კონკურსანტთა შორის თანაბარი შედეგების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას დარგობრივი კომისია ითვალისწინებს კონკურსანტის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის საკითხს, რომელიც დადასტურებული იქნება ეთიკის კომიტეტის მიერ წერილობითი ფორმით.

6. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე, რაც ფორმდება საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის ბრძანებით.

მუხლი 8.

1. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე კომისიის მიერ ხორციელდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) მეორე ეტაპზე ხდება კონკურსანტებთან გასაუბრება, რათა დადგინდეს

კანდიდატის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან.

2. ორივე ეტაპის შედეგების შეფასების სისტემა განისაზღვრება რეგლამენტით, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. სიყალბის რაიმე სახით გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი იხსნება კონკურსიდან ან ცალმხრივად უქმდება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

4. ვაკანსიის შემთხვევაში ცხადდება კონკურსი.

მუხლი 9. კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან სამი დღის განმავლობაში არჩევნებში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით შესაბამის დარგობრივ კომისიაში, ან უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საჩივრის მიმღები კომისიის დასახელება;

ბ) საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია;

გ) საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი (კონკურსში მონაწილე კანდიდატი,

დარგობრივი კომისიის წევრი);

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები,

რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ვ) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ზ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა და თარიღი;

3. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

4. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, (დარგობრივი კომისია) ვალდებულია საჩივრის შეტანიდან სამი დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება;

5. კონკურსის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დაირღვა ამ დებულებით დადგენილი წესი, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია კონკურსანტის შერჩევის შედეგზე;

6. დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში;

7. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

III თავი

დასკვნითი ნაწილი

მუხლი 10.

1. დებულება ძალაში შედის კოლეგიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

2. დებულებაში ცვლილებების შეტანის ინიციატივის უფლება აქვს რექტორს და აკადემიური საბჭოს წევრთა 1/3-ს, ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეცემა კოლეგიური საბჭოს.

3. დებულება დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიური საბჭოს უბრალო უმრავლესობა.

4. დებულების ძალაში შესვლისთანავე აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის წესთან დაკავშირებული ყველა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ცხადდება ძალადაკარგულად.

მუხლი 11.

1. კოლეგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება ქვეყნდება პრესაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.